კომუნიკაცია ჩართულობის შესახებ

„საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელთან რამდენიმე წელია თანამშრომლობს, თუმცა ოფიციალურად ასოციაცია 2021 წელს გახდა მისი წევრი.გაეროს გლობალური შეთანხმება (UN Global Compact) არის მსოფლიოში ყველაზე დიდი კორპორაციული მდგრადობის ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს ხალხისთვის, საზოგადოებისა და ბაზრისთვის მდგრადი და ინკლუზიური გლობალური ეკონომიკის შექმნას, სწორედ ამიტომ ასოციაციის ერთერთ მისიას წარმოადგენს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში წვლილის შეტანა.

თანამშრომლობის ფარგლებში, „საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“ და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა მოამზადეს საინფორმაციო ბროშურა და ვიდეორგოლი მედიაციის მნიშვნელობის შესახებ,აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, არაერთი საინტერესო ღონისძიება განხორციელდა, მათ შორის: სამუშაო შეხვედრა და დისკუსია - მედიაცია - დავის გადაწყვეტის უალტერნატივო მექანიზმი ბიზნესსექტორში, ვებინარი თემაზე - „მედიაციის პრაქტიკული უპირატესობა შრომითი დავის კონტექსტში“ და ფორუმი „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების“ შესახებ.

- **სამუშაო შეხვედრა და დისკუსია - მედიაცია - დავის გადაწყვეტის უალტერნატივო მექანიზმი ბიზნესსექტორში**

2021 წლის 14 აპრილს, “საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა“ და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (Global compact Georgia) ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა და დისკუსია - მედიაცია - დავის გადაწყვეტის უალტერნატივო მექანიზმი ბიზნესსექტორში.

ღონისძიება გახსნა - „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ხელმძღვანელმა - სალომე ზურაბიშვილმა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსმა - მაკა ფერაძემ.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა ისაუბრა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ საქმიანობის შესახებ. ღონისძიების ფარგლებში მედიატორებმა ელენე ორჯონიკიძემ და სოფიო ჩაჩავამ ბიზნესის წარმომადგენლებს გააცნეს მედიაციის ფორმები, დავებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტები და ის სერვისები, რომელსაც მედიატორთა ასოციაცია ბიზნესს სთავაზობს; ღონისძიების დასასრულს გაიმართა დისკუსია.

- **ვებინარი თემაზე - „მედიაციის პრაქტიკული უპირატესობა შრომითი დავის კონტექსტში“**

2021 წლის 11 მაისს „საქართველოს მედიატორთა ასოციაციას“, HR პროფესიონალთა ასოციაციის ორგანიზებით და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მხარდაჭერით გაიმართა ვებინარი თემაზე - „მედიაციის პრაქტიკული უპირატესობა შრომითი დავის კონტექსტში“.

ღონისძიება გახსნა: „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშილმა და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წარმომადგენელმა - ლანა ჩხარტიშვილმა.

ვებინარს უძღვებოდნენ: ნათია ჩიტაშვილი - "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მედიატორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. ირაკლი ადეიშვილი - "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" მედიატორი.

- **ფორუმი „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების“ შესახებ**

მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში საქართველოს მედიატორთა ასოციაციის და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ორგანიზებით გაიმართა პირველი „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების“ ფორუმი, აღნიშნული ფორუმი მხარდაჭერილი იყო შვედეთის მთავრობის მიერ. ფორუმი გახსნეს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა სალომე ზურაბიშვილმა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ აკაკი საღირაშვილმა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა და USAID საქართველოს წარმომადგენელმა ბევერლი ჰუვერმა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლები. საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ასოციაციის დაარსებიდან 2 წლის მანძილზე მიღწეული პროგრესის, გამოწვევების და სამომავლო გეგმების შესახებ. ღონისძიების დასასრულს გაიმართა მრგვალი მაგიდის დისკუსიები რომელიც ფოკუსირებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ,პოლიტიკის დონეზე მიღებულ მექანიზმებზე,რომლებიც ახალისებს ბიზნეს სექტორში UNGP-ების დანერგვას და აგრეთვე ქვეყანაში არსებული დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ეფექტიანობაზე.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“
აღმასრულებელი დირექტორი:
თამარ იმნაიშვილი